



slideshow, კომენტარი

დათო ქოქოშვილი - 15.03.2017

## საქართველოს “არაისტერიული პოლიტიკა” EU-ში განწევრიანების გზაზე – ინტერვიუ ვიქტორ დოლიძესთან

“მარტო ის, რომ ხმამაღალი განცხადებები ვაკეთოთ, აი, ჩვენ ამას გავაკეთებთ და 5 წელიწადში ევროკავშირსა და ნატოში შევალთო, არ არის სწორი. ეს არის მცდარი დამოკიდებულება. არც ისტერიული პოლიტიკა გვჩვევია ჩვენ. გვინდა, რომ გეგმაზომიერი ნაბიჯებით წავიწიოთ წინ”, – ამბობს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი **ვიქტორ დოლიძე**, რომელსაც ვესაუბრეთ იმაზე, თუ რა პერსპექტივებს უქმნის უვიზო რეჟიმი საქართველოს ევროკავშირთან შემდგომ ურთიერთობებში და ხომ არ დადგა დრო ქვეყანამ ოფიციალური განაცხადი გააკეთოს გაერთიანების წევრობაზე.

თქვენი გათვლით უვიზო რეჟიმი რას მოუტანს საქართველოს როგორც პოლიტიკურად, ისე პრაქტიკულად, გრძელ და მოკლევადიან პერსპექტივაში?

ჩვენ პრაქტიკულად ვყალიბდებით იმაზე, რომ ვიზის ამბავი გადაწყვეტილია. ძალიან მცირე ტექნიკური დეტალები დარჩა და მე იმედი მაქვს, რომ მარტის ბოლოდან ან აპრილის დასაწყისიდან ჩვენი მოქალაქეები ევროკავშირში მოძრაობის დაწყებას შეძლებენ. ამასთან დაკავშირებით ჩვენ ძალიან ფართომასშტაბიან კამპანიას ვიწყებთ ცნობიერების დონის გაზრდის მიზნით თუ რა (არ) უნდა გააკეთონ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებმა, რომ უვიზო რეჟიმს საფრთხე არ დაემუქროს.

ვიზის ლიბერალიზაცია მხოლოდ ტექნიკური კრიტერიუმების დაკმაყოფილებაზე პასუხი არ ყოფილა. ეს ჩვენი ევროპელი პარტნიორების მხრიდან პოლიტიკური გადაწყვეტილებაა. ეს არის ღია კარი ჩვენი თანამოქალაქეებისათვის და მას ძალიან დიდი პოლიტიკური თუ ტექნიკური მნიშვნელობა გააჩნია ჩვენი ქვეყნის სამომავლო პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის თვალსაზრისით.

ცხადია, ადამიანების ნაწილი უვიზო რეჟიმს უყურებს როგორც მოგზაურობის იოლ შესაძლებლობას, თუმცა ისეთებიც არიან, რომლებსაც ვიზის ლიბერალიზაციის მეშვეობით ევროპაში არალეგალურად დასაქმების მოლოდინები აქვთ. როდესაც ეს მოლოდინები ადგილზე რეალობას არ დაემთხვევა, ამან პირიქით ხომ არ შეიძლება რომ პრობლემები შექმნას? მაგალითად, ისრაელი იყო საქართველოს არგუმენტი ევროპელებთან როგორც უვიზო რეჟიმის თანამშრომლობის წარმატებული მაგალითი, დღეს კი საქმე იქამდე მივიდა, რომ ერთ-ერთმა არასამთავრობო ისრაელთან უვიზო რეჟიმის შეჩერების ინიციატივაც წამოაყენა. რას აკეთებს მთავრობა იმისათვის, რომ მოქალაქეებს სწორი მოლოდინები ჰქონდეთ ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის მიმართულებით?

ჩვენ [საინფორმაციო] კამპანია პრაქტიკულად დაწყებული გვაქვს, რადგან რეგიონებში შეხვედრები უკვე იმართება. დაწყებული გვაქვს ე.წ. ფანდრაიზინგის პროცესი, რადგან არ გვინდა, რომ მთლიანად მთავრობის... რა თქმა უნდა, უმთავრესი დონორი ჩვენ ვიქნებით, მაგრამ საერთაშორისო პარტნიორებისა და სამოქალაქო სექტორის ჩართულობით კიდევ უფრო მეტი რაღაცის გაკეთება შეგვიძლია. ჩვენ ახლა საინფორმაციო [სატელევიზიო] კლიპების შემუშავების პროცესში ვართ და მალე იქნება მზად. [საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში] გამოვიყენებთ ბილბორდებს, მიწისქვეშა და მიწისზედა სატრანსპორტო საშუალებებს და ა.შ. რაც ყველაზე მთავარია, საჭიროა რეგიონებში ინფორმაციის მიწოდება. თქვენ თვითონ ნახავთ, ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს, რომ კითხვის ნიშანი არ დარჩეს იმასთან დაკავშირებით, მივაწოდეთ თუ არა ხალხს ინფორმაცია. მე მინდა

საზოგადოებასაც ვთხოვო: ეს არის თითოეული ჩვენგანის პასუხიმგებლობა, რათა არც ჩვენ ჩავიგდოთ თავი უხერხულ მდგომარეობაში და ჩვენს მეგობარს, მეზობელს, ოჯახის წევრს თუ ნებისმიერ სხვასაც მივცეთ საშუალება, რომ ევროპაში უვიზოდ იმოძრაოს და არ გაჩნდეს კითხვის ნიშანი, გავაჩეროთ, შევწყვიტოთ უვიზო, თუ რა ვქნათო. მე ძალიან მაღალი წარმოდგენის ვარ ჩემს თანამოქალაქეებზე და მგონია, რომ უვიზო მიმოსვლის დაწყება (მიუხედავად იმისა, რომ რაღაც პრობლემები შეიძლება იყოს და ეს ყველგან არის ხოლმე) იქნება კარგი მაგალითი იმის [საჩვენებლად] ვინ ვართ ქართველები, რომელ ღირებულებებს ვატარებთ, რა შეგვიძლია და ა.შ.

**რაც შეეხება უვიზო რეჟიმის შემდგომ ნაბიჯებს EU-საქართველოს ურთიერთობებში, ხომ არ ქმნის ეს პოზიტიურ ატმოსფეროს შემდგომი უფრო მეტი ინტეგრაციისთვის?**

[უვიზო რეჟიმის] შემდგომ ნაბიჯებზე არამხოლოდ ფიქრი, არამედ მუშაობაც დავიწყეთ. ჩვენ გვინდა მხარდამჭერების მაქსიმალური კონსოლიდაცია, რათა ერთად ჩამოვყალიბდეთ როგორც პოლიტიკურ, ასევე პრაგმატულ დეტალებზე, თუ რა შეიძლება აღმოსავლეთ პარტნიორობის ნოემბრის სამიტიდან წამოვიღოთ.

ჩვენი საბოლოო და სამომავლო მიზანი არის ევროკავშირის სრულფასოვანი წევრობა, ეს გასაგებია, მაგრამ ამისათვის გვესაჭიროება რეფორმები ქვეყნის შიგნით და ასევე ევროპელი პარტნიორებისაგან ნაბიჯების გადადგმა. ვიზა შესაძლოა გამოდგეს ძალიან კარგ ფუნდამენტად იმისათვის, რომ მომავალში კიდევ უფრო მეტი ნაბიჯი გადაიდგას.

დღეისათვის აბსოლუტურად ახალ რეალობაში ვიმყოფებით, რომელიც გულისხმობს იმას, რომ ქვეყანა გადადის ევროპულ რელსებზე ყველა სფეროში სექტორალურად: ტრანსპორტი, კომუნიკაცია, განათლება და ა.შ. ვიზამ გახსნა ეს კარი, რაც ძალიან კარგია.

რაც შეეხება ვიზის შემდგომ ნაბიჯებს, იმისათვის, რომ შედეგი მიიღო, უნდა იცოდეთ, რომელ პლატფორმას უმიზნებ. აღმოსავლეთ პარტნიორობა მნიშვნელოვანი პლატფორმაა და მისი სამიტი ძალიან მაღალი დონის შეხვედრაა. ნებისმიერ სამიტთან დაკავშირებით არსებობს ორი თემა და მე ველოსიპედს არ ვიგონებ: პირველი, რა სახის პოლიტიკური გზავნილი იქნება და მეორე, შედეგი ძალიან კონკრეტული პრაგმატული თვალსაზრისით.

ბოლო თვეწახევრის განმავლობაში ჩვენმა უწყებამ სხვა სამინისტროებთან კოორდინაციით შექმნა ერთგვარი მონაცემთა ბაზა, [ევროკავშირის] რომელ პროგრამებში მონაწილეობს საქართველო, რა ინსტრუმენტებს იყენებს

ევროკავშირიდან, რომელ სააგენტოებთან გვაქვს თანამშრომლობა. ამავე დროს აქ მოცემულია ისიც რას ვერ ვიყენებთ და სად გვსურს უფრო მეტი ინტეგრირება. ამ შემთხვევაში მე ვლაპარაკობ ძალიან პრაგმატულ, კონკრეტულ ბენეფიტებზე. ჩემი აზრით, ძალიან კარგი დოკუმენტი შედგა.

### **ეს არის სამოქმედო გეგმა ბრიუსელის სამიტისთვის?**

რა თქმა უნდა. როდესაც [სამეზობლო პოლიტიკასა და გაფართოების შესახებ მოლაპარაკებათა საკითხებში ევროკომისიის გენერალური დირექტორი ქრისტინა] დანიელსონი ჩამოვიდა, მე მას პირადად გადავეცი ეს დოკუმენტი და ვუთხარი, რომ ჩვენ შეგვიძლია საინტერესო მომენტები ერთად შევაჯეროთ, რაღაც ამოვიღოთ, რაღაც მივამატოთ. მოკლედ, სამუშაო პროცესი გვაქვს, მაგრამ ასევე გვჭირდება მხარდამჭერების კონსოლიდაცია.

მე ვიმყოფებოდი ბალტიის ქვეყნებში და იქიდან ძალიან კმაყოფილი წამოვედი, რადგან მათი მხარდაჭერა არის მყარი. ამას ახლა სჭირდება კონკრეტულ თემებზე საუბარი. მხარდაჭერა ერთია... ყველაზე დიდი პლუსი არის ის, რომ ჩვენ ვიცით რა გვინდა და ეს ევროპას დავანახეთ, ამავე დროს ამ საქმეში გვჭირდება დახმარება.

ჩვენ ვიცით, რომ არ ვართ მაგალითად სერბეთი და კანდიდატი ქვეყანა, მაგრამ ვართ რეფორმების თვალსაზრისით ყველაზე წინ წასული და პროგრესული არამხოლოდ აღმოსავლეთ პარტნიორობაში, არამედ ცენტრალურ აზიაში. ყველა კვლევა ამას გვაჩვენებს. რა თქმა უნდა, ეს არ არის საკმარისი და არ ნიშნავს, რომ ყველაფერი 100%-ით დალაგებული გვაქვს, სწორედ ამიტომ გვჭირდება უფრო მეტი მუშაობა.

ჩვენ ვერ ვიღებთ იმდენ დახმარებას და თანხებს, რომელსაც მაგალითად კანდიდატი ქვეყნები იღებენ ხოლმე, ეს ასეა ევროკავშირში, მაგრამ ჩვენ უფრო მეტი უნდა მივიღოთ და არ უნდა ვიყოთ გაიგივებული იმ ქვეყნებთან, რომლებიც ნაკლებ რეფორმას ატარებენ, მეტი კორუფციაა, არ არის ისეთი მოწინავე რეფორმებში.

### **არის ევრაზიული კავშირის წევრი?**

თუნდაც. ჩვენ არავის წინააღმდეგი არ ვართ. ყველასთან გვინდა მეგობრობა და კეთილმეზობლობა, მაგრამ ევროკავშირში არსებობს “მეტი მეტისთვის” და ინდივიდუალური მიდგომების პრინციპი. რადგან არსებობს, ჩვენ ისინი აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ და მეტი მოვითხოვოთ, ეს არის ჩვენი კონკრეტული პრაგმატული შედეგი, რომელიც შეიძლება ბრიუსელიდან წამოვიღოთ.

თქვენ მეტი მეტისთვის ახსენეთ და მე რამდენადაც ვიცი, როდესაც რამდენიმე წლის წინ ფედერაცია მოგერინის თაოსნობით ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ახალ დოკუმენტზე დაიწყო მუშაობა, იქ თავისი მოსაზრებები საქართველომ, უკრაინამ და მოლდოვამ ერთობლივად წარადგინეს და იქაც სწორედ ამაზე იყო საუბარი – ინდივიდუალურ მიდგომაზე და იმაზე, რომ თუ ქვეყანა უფრო მეტს აკეთებს, მან უფრო მეტი ინტეგრაცია და მხარდაჭერა უნდა მიიღოს. ახლა ბრიუსელის სამიტზე ამ პროცესში საქართველო, უკრაინასთან და მოლდოვასთან ერთად მიდის ამ მიზნისკენ?

მე ჩემს მოლდოველ და უკრაინელ კოლეგებთან ვმუშაობ. მიმაჩნია, რომ როცა ერთ ნავში სხედხართ და მიზნისკენ მიდიხართ, უფრო მეტის გაკეთება შეიძლება და ყოველთვის მომხრე ვარ, რომ ჩვენ ერთად... მითუმეტეს ჩვენი ერთი საფრთხეები გვაქვს, პრობლემებიც იგივე გვაქვს. მე ამის მომხრე ვარ. არც ერთ ფორუმს არ ვტოვებ იმის თქმის გარეშე, რომ უკრაინამაც დროულად უნდა მიიღოს ეს შედეგი, მათ შორის ვიზა, მაგრამ მე ერთ ადგილას ვერ გავჩერდები. მე მივდივარ წინ და მინდა, რომ უკრაინელი და მოლდოველი მეგობრებიც წამოვიდნენ. თუკი მე რაიმე მეტს მოვითხოვ და მივალწევ, ეს არ უნდა იყოს დამოკიდებული სხვა ქვეყანაზე. მე ინდივიდუალური მიდგომის მომხრე ვარ და ამაში არ ვგულისხმობ იმას, რომ ერთ ნავში არ უნდა ვისხდეთ, პირიქით.

მე კონსულტაციები დაწყებული მაქვს. ეს ჩემს აქტივობაზეც იქნება დამოკიდებული ჩემ [უკრაინელ და მოლდოველ] კოლეგებზეც. შესაძლოა მე ერთი პრიორიტეტი მქონდეს და ერთ ინსტრუმენტსა თუ პროგრამას ვუმიზნებდე, ხოლო უკრაინელები და მოლდოველები – სხვას. ეს სავსებით ნორმალურია. მთავარია, არ გავჩერდეთ და ვიყოთ პროაქტიულები. ახლა გაჩერების უფლება არ გვაქვს, რადგან მიუხედავად გამოწვევებისა, შესაძლებლობების ფანჯარა იხსნება, მიუხედავად გამოწვევებისა.

**უფრო ნათელი რომ იყოს ეს საკითხი, “მეტი მეტისთვის” პრინციპის გაძლიერება ნიშნავს, რომ საქართველო უფრო მეტ თანხას ითხოვს დახმარების მიზნით?**

არამხოლოდ თანხა, მეტი დახმარება, მეტი ტრენინგი, მეტი განათლების საშუალება ჩვენი ახალგაზრდობისთვის, მეტი ინფრასტრუქტურის მოწყობა და ამ საკითხს შემდეგ ძალიან ბევრი თემა ებმის, იგივე ტურიზმი, სამუშაო ადგილები, მეტი ინვესტიცია, რაც ეკონომიკის განვითარების წინაპირობაა. ჩვენ გვინდა განვითარება. ჩვენი უმთავრესი მიზანი ქვეყნის შიგნით გასატარებელი რეფორმები უნდა იყოს დაწყებული ადამიანის უფლებათა დაცვიდან, მასმედიის თავისუფლება იქნება ეს თუ სხვა, დამთავრებული სექტორალური რეფორმებით. ჩვენ კითხვები არ უნდა

გავაჩინოთ. უნდა გადავდგათ შესაბამისი ნაბიჯები და მე ვფიქრობ ვდგამთ კიდევაც.

**ევროპის ერთიან ეკონომიკურ სივრცეში გაწევრიანება იდეის დონეზე მაინც არ არის ერთ-ერთი სამიზნე?**

DCFTA ეკონომიკური ინტეგრაციის იმხელა საშუალებებს გვიხსნის... ინტეგრაცია არის ერთიან ეკონომიკურ სივრცეში შესვლის მთავარი წინაპირობა და ამაზე მუშაობა დაწყებულია. ის, რომ თაფლი და კენკრა უკვე არის ევროპულ ბაზარზე ძალიან კარგია, მე მინდა, რომ მარწყვიც დაემატოს, ალუჩაც. მთავარია, დაიცვა სტანდარტები.

**ქვეყნის შიგნით გასაგებია, რაც უნდა გაკეთდეს, მაგრამ ევროპელებთან დისკუსიაში თუ არის ეს თემა?**

ეს თუ შენ ადგილზე არ გააკეთე... ევროპელი გეუბნება – კი, ბატონო, შევქმნათ: რა გაქვს, აკმაყოფილებს შენი პროდუქცია ამ სტანდარტებს? შენ თუ სტანდარტი არ დაიჭირე, ბუნებრივია იქითა მხრიდან კითხვები ყოველთვის დაიბადება. ამიტომ, ჯერ აქ უნდა ავწიოთ ევროპული თამასა განვევითარდეთ, მეტი წინაპირობა შევქმნათ და ბუნებრივია, ეკონომიკური ინტეგრაცია და ჩვენი სამომავლო მიზნები გულისხმობს იმას, რომ ეკონომიკური სივრცე უნდა გაიხსნას.

**თქვენ თქვით, რომ ბრიუსელის სამიტზე გარდა პრაგმატული მიზნებისა, ასევე მნიშვნელოვანია პოლიტიკური მესიჯი. ევროპული პერსპექტივა საქართველოსთვის – არის თუ არა ეს მიზანი?**

როგორ არ არის, მაგრამ მოვლენებს ნუ გავუსწრებთ წინ და ნუ ვიტყვით, რომ ნოემბერში აუცილებლად მივიღებთ ამას. ის, რომ განსაკუთრებით ამ რუსული პროპაგანდის პირობებში საქართველოს მოსახლეობას ესაჭიროება მკაფიო პოლიტიკური გზავნილი ევროპულ პერსპექტივასთან დაკავშირებით, ეს, ცხადია, ნათელია. მე არ ვიცი იქ რა ჩაიწერება, მაგრამ ჩვენ ყველა საუბარში ამას ხაზს ვუსვამთ და აქაც დახმარებაა საჭირო. მე არ ვიცი ამას ევროპული პერსპექტივა დაერქმევა თუ რაიმე სხვა, მოდალობების მონახვა ადვილია, მთავარია პოლიტიკური ნება და გადაწყვეტილება არსებობდეს. მე რასაც ვუყურებ, ევროკავშირში ამის ნება არის და ვიზა არ იყო შემთხვევითი გადაწყვეტილება, მაგრამ ამ მღელვარე და რთულ პერიოდში, ავილოთ მიგრაცია, ახლო აღმოსავლეთში თუ ჩრდილოეთ აფრიკაში მიმდინარე მოვლენები და იქიდან გამომდინარე სირთულეები და ა.შ. ეს ჩვენ უნდა გვესმოდეს და ბუნებრივია, გვესმის კიდევ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ უკანა პლანზე გადავიწიოთ.

მერწმუნეთ, კიდევ უფრო მეტი პროაქტიულობით ვმუშაობთ, რომ სერიოზული და მყარი საფუძველი შევქმნათ იმისათვის, რომ მივალწიოთ ჩვენს უმთავრეს მიზანს, რომელსაც ევროკავშირის წევრობა ჰქვია.

**როდის?**

დროებზე არ უნდა ვილაპარაკოთ, უნდა ვაკონტროლოთ მოლოდინები. ჩვენ არ უნდა მოვატყუოთ ხალხი, მათ უნდა იცოდნენ ჩვენ რაზე ვსაუბრობთ, რადგან გაზრდილი მოლოდინების პირობებში იმედგაცრუება ყველაზე ცუდია, ამიტომ რეალისტურად, გეგმებზე, კონკრეტულ თემებზე ორიენტირებულად უნდა ვიმუშაოთ. შევძლებთ ამის გაკეთებას? უფრო მეტი ინტეგრაციის საშუალება გვექნება და უფრო ძალიან.

**დახმარება ახსენეთ რამდენჯერმე და გარდა ბალტიისპირეთის ქვეყნებისა, კიდევ რომელი სახელმწიფოების იმედი...**

ბალტია ჩვენი 100%-იანი მხარდამჭერია.

მე ვიშეგრადში ვაპირებ მოგაზურობას, მარტში აუცილებლად ჩავალ პოლონეთში, უნდა ვიმუშაოთ ბულგარელებთან და რუმინელებთან, რომლებიც ჩვენი სერიოზული და სტრატეგიული პარტნიორები არიან. ყველასთან... ე.წ. ნორდიკებთან: შვედეთი ფინეთი, ნორვეგია, დანია – ისინი ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ეკონომიკურად, სოციალურად, პოლიტიკურად. ისინი საკმაოდ წინ არიან და ბევრი კარგი რჩევის მოცემა შეუძლიათ და მათი მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანი იქნება პროცესებში. ზოგიერთი მათგანი ნატოს წევრია, ზოგიერთი ევროკავშირის.

რაც მთავარია [ვიმუშავებთ] დიდ ქვეყნებთან ე.წ. მთავარ მოთამაშებებთან: გერმანელებთან, ფრანგებთან, ძალიან საინტერესოა ნიდერლანდები, მაგრამ იცით თქვენც, რომ არჩევნების მოლოდინში არიან და ალბათ ჩვენც უნდა ვაცადოთ, როგორ დალაგდება ვითარება ამ ქვეყნებში და მერე გავაგრძელოთ მათთან მუშაობა. კიდევ ერთი – დიდი ბრიტანეთი. მიუხედავად იმისა, რომ ბრექსიტი დიდად გულზე არავის გვეხატება, ჩვენ ბრიტანეთთან ორმხრივი ურთიერთობა უნდა გავაძლიეროთ, პირველ რიგში, ნატოსთან ურთიერთობის თვალსაზრისით. ის ძალიან დიდი პოტენციალის მატარებელი ქვეყანაა.

**ამ დისკუსიაში მონაწილეობენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც და იქიდან მოდის იდეა, რომ საქართველომ უნდა გააკეთოს ევროკავშირის წევრობაზე განაცხადი...**

ეგ იდეა მეც მაქვს. ჩვენ, რა თქმა უნდა, განაცხადი უნდა გავაკეთოთ, მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს და მოსამზადებელი პერიოდი სჭირდება.

**ჯერ არ არის ეს დრო?**

საჭიროა მუშაობა ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებთან და გეგმაზომიერი უნდა ვიყოთ ყველაფერში, მათ შორის განაცხადის შეტანაშიც. არსებობს ე.წ. სქრინინგის პროცესი.

### **კანონმდებლობის...**

არა მხოლოდ. ეს არის კითხვარი [რომელსაც გაწევრიანების გზაზე მდგარი ქვეყანა ავსებს], სადაც ყველაფერია თავმოყრილი ანუ ასოცირების შეთანხმების იმპლემენტირების პარალელურად რომ დავიწყეთ ამ კითხვარის შევსება გაწევრიანებასთან დაკავშირებით...

### **აპირებთ ამის გაკეთებას?**

ვფიქრობთ. მე არ მინდა მოვლენებს წინ გავუსწრო მაგრამ ამის გაკეთებას არ სჭირდება ევროკავშირისგან თანხმობა და ა.შ. შეგიძლია უბრალოდ აიღო ეს კითხვარი და [შეავსო] ამაზე უნდა ვისაუბროთ, უნდა ვიმუშაოთ კოორდინირებულად... შენ რომ ადგე და კითხვარის შევსება დაიწყო ისე, რომ არ გქონდეს ეკონომიკის სამინისტროს, საგარეოს, იუსტიციის სამინისტროს... ანუ ყველა ის მოთამაშე, ვინც ამ პროცესშია... ეს იქნება ჰაერში ტყუილად გასროლილი ტყვია. ჩვენ ამას არ ვაპირებთ. ჩვენ ყველა უწყებასთან ძალიან ახლო კონტაქტში ვართ და ყოველდღიური თანამშრომლობა გვაქვს, მათ შორის სამოქალაქო სექტორთანაც. იქ არის მოსაზრება, რომ ჩვენ ეს უნდა დავიწყეთ, მაგრამ არსებობს სხვა შეხედულებებიც.... არამხოლოდ უწყებაში, არამედ სამოქალაქო სექტორშიც, რომ ჯერ ადრეა, რამდენად გვეყოფა რესურსი და ა.შ.

ჩემი აზრით, არ იქნებოდა ცუდი დროულად რომ დაგვეწყო, თუმცა ჯერ უნდა გამოვიკვლიოთ ნიადაგი რამდენად გვექნება ამის შესაძლებლობა. რაღაცას რომ ხელი მოკიდო და შუა გზაში მიატოვო, უარესია. ვნახოთ, ჩვენ ამაზე ბუნებრივია ვფიქრობთ და ძალიან ბედნიერი ვიქნები მალევე რომ შევიტანოთ.

### **ე.წ. სქრინინგის თემის დაწყების ინიციატორი იქნებით თქვენ მაგალითად მთავრობის სხდომაზე?**

მე არ მინდა მოვლენებს წინ გავუსწრო.

### **მაშინ ასე პირდაპირ დაგისვამთ კითხვას: რატომ არ აკეთებს საქართველო ევროკავშირში გაწევრიანებაზე განაცხადს ახლავე?**

მე ყოველთვის ვამბობდი, რომ ჩვენი საბოლოო მიზანი ეს არის. შენ თუ განაცხადი არ გააკეთე, აზრი არ აქვს, მაგრამ განაცხადი, რომ გააკეთო ამის ნიადაგი ხომ უნდა მოამზადო?

### **და მოამზადეთ...**



ამას ვამბობ, უნდა ითანამშრომლო შიგნითაც და გარეთაც პარტნიორებთან. ახლა რომ განაცხადი გააკეთო, როდესაც ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის გზაზე ხარ, არ გეტყვიან ასოცირების შეთანხმების იმპლემენტაცია მოახდინე, განაცხადს, რომ აკეთებო?

**ჩვენ ხომ პარალელურ პროცესზე ვლაპარაკობთ?**

როგორ არის პარალელური? როდესაც კანდიდატი ხდება, იქ უკვე გაწევრიანების მოლაპარაკებებია ანუ გაწევრიანების პროცესი იწყება და იმასთან დაკავშირებულია...

**ასოცირების ხელშეკრულება სრულდება 2029 წელს, თუ არ ვცდები, ანუ ბოლო ვადა, როდესაც საქართველომ თავისი ვალდებულებები უნდა შეასრულოს 2029 წელს გადის, ანუ 2029 წლამდე...**

ეს არის შესაძლო დასრულების ვადები, მაგრამ შენ თუ ამას უფრო ადრე დაასრულებ... ნუ დაამთავრებ 2029 წელს და დაასრულებ მაგალითად 2022-ში. დროებზე ლაპარაკს ყოველთვის ვერიდები. არ იქნება სწორი, რომ ვთქვათ: 2029-ში ამას დავასრულებთ და გაწევრიანებას 2030-ში დავიწყებთო. ეგება და ადრე ვიწყებთ? პოლონეთს დასჭირდა 13 წელი, ხორვატიას ასოცირების ხელშეკრულების იმპლემენტაციიდან დაწყებული 11 წელი დასჭირდა. იქნებ საქართველოს 7 წელი დასჭირდეს ან 5, შეიძლება 15 წელიც დაგვჭირდეს. პატარა ქვეყანა ხარ, გაქვს პოტენციალი, კარგი საფუძველი. ჩვენ გვჭირდება შიგნით მუშაობა ქვეყნის განვითარება. ამაზე უნდა ვიყოთ ორიენტირებული და არა იმაზე, რომ რაღაც ხმამაღალი განცხადებები [ვაკეთოთ]... ისტერიული არაფერში ვარგა, [საჭიროა] გეგმაზოიმიერი, საქმიანი კონკრეტული [ქმედებები]. რა თქმა უნდა, გვინდა, რომ მალე მოხდეს ეს ყველაფერი ევროკავშირთანაც და ნატოსთან მიმართებაშიც, მაგრამ სურვილი ერთია და რეალობა – მეორე.

**ჩემთვის მაინც არ არის ახლა ნათელი რატომ არ შეიძლება რომ ახლა გაკეთდეს განაცხადი, რას გულისხმობთ ამ რეალობაში?**

დღეს ასოცირების იმპლემენტაციის ეტაპზე ხარ, ეს უნდა გაიარო. თუკი ამას სწრაფად გააკეთებ... მაგალითად დეკემბერში, როდესაც ბრიუსელში ვიყავით, [ფედერიკა] მოგერინიმ თქვა, რომ ჯერ 5 თვეა, რაც ასოცირების შეთანხმება ძალაში შევიდა და საქართველო მას ჯერჯერობით ზედმიწევნით კარგად ასრულებსო. გავა კიდევ 5 თვე და ვნახავთ რა იქნება, გავა 1 წელი, 2 წელი. რეალობა სწორედ ეს არის – შენ თუ ამას სწრაფად, თანმიმდევრულად შეასრულებ მეტი შესაძლებლობა და პერსპექტივა გაგეხსნება და ალბათ უკვე გადახვალ კანდიდატთა სიაში.

მე სერბეთის მხარესთანაც ვაპირებთ შეხვედრას, უკვე დავგეგმე ვიზიტი და მინდა, რომ მათი გამოცდილება გავიზიარო. სერბეთი დგას გაწევრიანების გზაზე და ჩვენ შეგვიძლია ბევრი რაღაც მათგანაც ავიღოთ, მართლაც ის, რომ ხმამაღალი განცხადებები ვაკეთოთ, აი, ჩვენ ამას გავაკეთებთ და 5 წელიწადში ევროკავშირსა და ნატოში შევალთ, არ არის სწორი. ეს არის მცდარი დამოკიდებულება. არც ისტერიული პოლიტიკა გვჩვევია ჩვენ, გვინდა რომ გეგმაზომიერი ნაბიჯებით წავიწიოთ წინ. ეს არის ის რეალობა, რაზეც მე ვსაუბრობდი, ჯერ ასოცირების შეთანხმების იმპლემენტაციის პროცესი მიდის [აქ რომ გავაკეთოთ განაცხადი] ხომ გეტყვიან, რომ შენ არ ხარ თანმიმდევრული.

**გვეტყვიან თუ გვითხრეს, ეს თქვენი ვარაუდია, რომ ასე გეტყვიან?**

კულისებში რას ვლაპარაკობთ, მე ბუნებრივია ვერ გეტყვით, მაგრამ რეალობა ისეთია, რომ დღეს, ამ ეტაპზე ჩვენი უმთავრესი ამოცანა არის და უნდა იყოს ასოცირების შეთანხმების ზედმიწევნით სწორად იმპლემენტაცია.

**დღეს განაცხადის გაკეთება, არასახარბიელო სიტუაციაში ჩააყენებს ევროპულ პარტნიორებს?**

არ უნდა ჩააყენო არც შენი პარტნიორები და არც შენი თავი ისეთ მდგომარეობაში, რომელიც შენს კარგ შესაძლებლობას.... მთელი მსოფლიო იმას ამბობს, რომ საქართველო მოწინავეაო და რატომ უნდა გააჩინო ამგვარი უხერხულობა? არ არის ეს პოლიტიკურად გამართლებული. სანამ ამგვარ ნაბიჯებს გადავდგამთ ხოლმე, ბევრი უნდა ავწონ-დავწონოთ.

თქვენ სერბეთი ახსენეთ და მე არ ვიცი რა საუბრები ჰქონდათ მასთან და დასავლეთის ბალკანეთის სხვა ქვეყნებთან ევროკავშირში თავის დროზე, მაგრამ როცა ამ ქვეყანამ გაწევრიანების პროცესი დაიწყო, დაახლოებით ისეთივე ქვეყანა იყო სხვადასხვა პარამეტრებით, როგორც ახლაც საქართველო, თუმცა მაინც ასე ვთქვათ რქებით მიაწვა და პროცესი დაძრა. პირიქით, არ ჯობია ეს მაგალითი იყოს ინსპირაცია საქართველოსთვის?

კარგი კითხვაა, მაგრამ რთული: ჩვენ უნდა გვახსოვდეს გეოპოლიტიკა, გლობალური პოლიტიკა, ბალკანეთი რომ ევროკავშირისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ზრუნვის საგანია, ეს ახალი არ არის.

**გეოგრაფიული თვალსაზრისით?**

მეტსაც გეტყვით და არაფერს გადავაჭარბებ ბევრი კრიტერიუმის მიხედვით საქართველო საკმაოდ წინ არის როგორც ნატოს, ასევე ევროკავშირის წევრ რიგ ქვეყნებზეც, მაგრამ ეს არ არის იმის გარანტია, რომ ხვალ ნატოსა და ევროკავშირის წევრი გახდები. ამას სჭირდება დრო და ბევრი შრომა.

**ეს დრო როდის შეიძლება მოვიდეს, ან როგორ უნდა მივხვდეთ...**

მე აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ევროპულ ოჯახში სრულფასოვან ადგილს დავიკავებთ, უბრალოდ საჭიროა: შრომა, შრომა და შრომა.

როდესაც საუბარია იმაზე, რომ საქართველომ სწრაფად უნდა იმოქმედოს განსაკუთრებით უვიზო რეჟიმის შემდეგ აქ ალბათ საინტერესოა, მოლდოვის მაგალითი, რომელმაც 2014 წელს მიიღო უვიზო რეჟიმი და 2014-ში იქ პროევროპულმა ძალებმა გაიმარჯვეს მცირედით, თუმცა 2 წლის შემდეგ ქვეყანაში პრორუსული განწყობის პრეზიდენტი აირჩიეს, როცა შესაძლოა მოლოდინები პირიქით ყოფილიყო, რომ ევროკავშირმა უვიზო რეჟიმით მათკენ გადადგა რეალური ნაბიჯი, შემდეგ [ინტეგრაციის პროცესი შენელდა] და მოვლენები ასე განვითარდა... რას იტყვით ასეთ საფრთხეზე საქართველოსთვის?

საფრთხე ყოველთვის ყველგან არის. ჩვენი ქვეყნის 20% აქვს ოკუპირებული რუსეთს, ცენტრალური მაგისტრალიდან 1.5 კილომეტრში დგას. მეტი რაღა საფრთხე უნდა იყოს? სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ ზედმიწევნით კარგად უნდა იმუშაო. მე არ ვიცი რამ განაპირობა მოლდოვაში და როგორ, მაგრამ ჩემთვის ყველაზე დიდი ზურგია ის, რომ ჩემი მოსახლეობის 70%-ზე მეტი პროევროპულია. ეს სერიოზული ზურგია მიუხედავად იმისა, რომ რუსული პროპაგანდა მუშაობს. ჩვენი უცხოელი პარტნიორები რომ ჩამოდიან და ვეუბნებით, რომ პირობითად 82 იყო მხარდაჭერა და ახლა 76-ზე ჩამოვიდა და ვნერვიულობთ, ამაზე ეცინებათ ხოლმე – თქვენ კარგად გქონიათ საქმე, ჩვენთან უნდა ნახოთ, რა ხდებაო. ძალიან ბევრი მიზეზის გამო ჩვენ ვართ წინა პლანზე და ამას გამოყენება უნდა.